ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2675567

ნომერი: AR1412341

თარიღი : 13.06.2016

გაცემის თარიღი : 05.07.2016

გაცნობის თარიღი : 05.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:

- შპს ბანი 2007 კოდი: 206316388

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურისსამსახურის24.12.2013 წ. №1057223 ბრძანებაშიცვლილებისშეტანისთაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 13/06/2016 წ. #AR1412341 განცხადებით მომართა შპს „ბანი ლუქსი“–ს დირექტორმა დავით მახარაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 24.12.2013 წ. №1057223 ბრძანებაში, დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 24.12.2013 წ. №1057223 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, გორგასლის ქ. #34-ში, მოქალაქე ბესიკ პაპისმედოვის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. საკ. კოდი N01.18.09.004.061), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 25 დეკემბრიდან 2015 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, აქტში დამკვეთად დაფიქსირდა მესაკუთრე, ბესიკ პაპისმედოვი, მოგვიანებით ამავე სამსახურის 01/10/2015 წ. №2215653 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ აქტში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 02 ივნისის ჩათვლით.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (საკადასტრო კოდი #01.18.09.004.061, განცხადების რეგისტრაციის #882016142877, მომზადების თარიღი: 28/03/2016 12:02:23) დასტურდება, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთი დღეისათვის წარმოადგენს შპს „ბანი ლუქსი“–ს საკუთრებას, ხოლო მასზე ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და გენერალურ დირექტორს დავით მახარაშვილი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად სამშენებლო მიწის ნაკვეთის ახლანდელ მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბანი ლუქსი“, ხოლო მასზე ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და გენერალურ დირექტორს დავით მახარაშვილი და მას აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 63–ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილედეს დავით მახარაშვილის 13/06/2016 წ. #AR1412341 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1057223 ბრძანებაში, კერძოდ დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „ბანი ლუქსი“, ს/კ:406054852;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წ. №1057223 ბრძანებასთანერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.